



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ამერიკული პროგრამა
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

20-21-22 აპრილი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია#457 14.12.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი,	დინ პარმელე
-----------------------------	-------------

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რაიტის სახელმწიფო უნივერსიტეტი აშშ
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინა ფხაკაძე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯილდა ჭეიშვილი თბილისის ღია უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე თოიძე კავკასიის სამედიცინო ცენტრ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლასთან დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის შესაქმნელად თანამშრომლობა დაიწყო 2000 და 2011 წლებში, როდესაც მოხდა პროგრამის აკრედიტაცია, რის შემდეგაც პროგრამა გაიხსნა 2013 წელს. თანამშრომლობის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოში საბაკალურო სამედიცინო განათლების გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. პროგრამის იდეა მდგომარეობდა ახალი, ინოვაციური კურიკულუმის შემუშავებაში, რომელიც იქნებოდა ემორის სამედიცინო სკოლის მოდელზე აგებული, ადაპტირებული და მოდიფიცირებული. დასაწყისიდანვე, იზრდებოდა მასზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, იზრდებოდა აბიტურიენტების რაოდენობა და მიღების სტანდარტებიც. ამჟამად, ჩარიცხულია 377 სტუდენტი. პროგრამა შედგება სამი ეტაპისგან - 1) მოსამზადებელი/წინა-სამედიცინო ეტაპი; 2) მედიცინის საფუძვლები, რომელიც მოიცავს ნორმალურ და პათოლოგიურ მდგომარეობებს; 3) კლინიკური ეტაპი, სამ ცალკეულ წელზეა გათვლილი (თითო 2 სემესტრიანი). კურიკულუმი შექმნილია ისე, რომ მოიცავს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას, ყოველი ეტაპი აგებულია მის

წინამორბედზე. სამედიცინო ხარისხისთვის განკუთვნილ უამრავი კონტენტის გარდა, პროგრამას, ასევე, აქვს ძლიერი მიდგომა პროფესიონალიზმის განვითარებისთვის.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტები გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს 2021 წლის 30 მარტს. ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა დაგეგმვის სხდომაზე (ვირტუალურად) 2021 წლის 16 აპრილს, ხოლო დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2021 წლის 20, 21, 22 აპრილს. ჯგუფის ოთხი წევრი იმყოფებოდა ქვეყნის ფარგლებში, ერთი კი (თავმჯდომარე) მონაწილეობდა ვირტუალურად. სამი დღის განმავლობაში მოხდა თსუ-ს ორი სამედიცინო სკოლის მიმოხილვა და დაწესებულებაში ვიზიტის განახორციელება ერთი და იმავე ჯგუფის მიერ. ინტერვიუები ჩატარდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომელიც მართავს ამ ორ სკოლას, ასევე პროფესორ-მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებთან, რომლებსაც "იზიარებენ" ეს სკოლები.

დღე 1: გამოიკითხა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, რომელიც ზედამხედველობს ორ სამედიცინო სკოლას, რასაც მოჰყვა ინტერვიუები თითოეული სკოლის შესაბამის თვითშეფასების გუნდებთან. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამისთვის ეს მოიცავდა წარმომადგენლებს ემორის უნივერსიტეტიდან. პირველ დღეს, ასევე, ჩატარდა გასაუბრები პროგრამის ორივე ხელმძღვანელთან ცალკე. თბილისში მყოფ ჯგუფის ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მისულიყვნენ დაწესებულებებში, რომლებიც სკოლებს ემსახურებიან.

დღე 2: ყურადღება გამახვილდა შეხვედრებზე, რომლებიც ჩატარდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამისა და ქართული პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და მასაქმებლების წარმომადგენლებთან.

დღე 3: ეს დღე მიეძღვნა შეხვედრებს თითოეული პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობასთან, ორივე პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან. მონაცემების საბოლოო და მოკლე შეჯამება წარედგინა უნივერსიტეტისა და პროგრამის ხელმძღვანელობას.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა შეესაბამება ყველა რეგულაციასა და სტანდარტს, დაწესებულებების და დოკუმენტების მიმოხილვიდან, ხელმძღვანელობის ფართო წარმომადგენლობასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პედაგოგიურ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე.

▪ რეკომენდაციები

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ იჩინეს, რომ USMLE მნიშვნელოვანია მისი კურსდამთავრებულებისთვის, დაემატოს შუალედური შეფასებები (NBME's CBSE, CCSE), სტუდენტების პროგრესის შესახებ, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების უკუკავშირისთვის, რაც იზომება USMLE-ის მუშაობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტებით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
 - პროგრამას მრავალი გამორჩეული მახასიათებელი აქვს, რომელიც საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს:
 - სტუდენტთა პროგრესის შეფასების ძლიერი სისტემა მონიტორინგითა და სწავლების ხარისხის შესახებ მათი უკუკავშირის გამოყენებით.
 - კლინიკური სწავლების ეტაპზე ობიექტური შეფასებები.
 - პროფესიონალური სასწავლო გეგმა განათლების მთელი 6 წლის განმავლობაში.
 - ზოგიერთი სტუდენტისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ კლინიკური განათლების გამოცდილება მიიღონ აშშ-ში, ემორის უნივერსიტეტის მეშვეობით.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თავდაპირველი ფორმირება 1990 წელს დაიწყო ემორის უნივერსიტეტიდან მედიცინის დარგში გამორჩეული განმანათლებლის ვიზიტით, თუმცა ოფიციალური სახე მას მიეცა 2007 წელს და დაიწყო დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავდა მრავალ დაინტერესებულ მხარესა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. ცენტრალური პრინციპი იყო სამედიცინო პროგრამის შექმნა, რომელიც იქნებოდა სტუდენტზე ორიენტირებული, კომპეტენციაზე დაფუძნებული და შეესაბამებოდა პროფესიონალი ექიმების მაღალ იდეალებსა და სტანდარტებს. მისი პირველი აკრედიტაციიდან და სტუდენტების მიღებიდან, პროგრამა სტრატეგიულად განვითარდა თანამედროვე სწავლა-სწავლების სტრატეგიების მოკვლევით, შეფასებებით და გაუმჯობესების მიზნით უწყვეტი თვითგანვითარებით. ემორის უნივერსიტეტმა განაგრძო ფასდაუდებელი კონსულტაციების გაწევა 21 საუკუნის ექიმის განათლების საუკეთესო პრაქტიკების შესახებ, თუმცა მკაფიოდაა განსაზღვრული რომ ეს არის თსსუ-ს კუთვნილი პროგრამა.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა ოფიციალურად დაინერგა 2013 წელს და განვითარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თსსუ) და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლას (აშშ) შორის თანამშრომლობით. მისი მიზანია,

„მოამზადოს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული, კომპეტენტური, მაღალ-კვალიფიციური მედიკოსები, რომლებსაც ექნებათ ცოდნა, უნარი და ქცევები, საჭირო ჯანდაცვის პროფესიებში, დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალური პროფესიული მომზადებისათვის, იმავდროულად, ინსპირირებულნი იქნებიან, განვითარდნაგონიერება, ინტერესი, მოთინება და თავდადება პაციენტებისა და საზოგადოებისადმი, გამოიჩინონ ძალისხმევა უწყვეტი განათლებისადმი და გაიაზრებენ ჯანდაცვის სფეროში კვლევის სასისოცხლო მნიშვნელობის როლი.“

პროგრამას განსაზღვრული აქვს ექვსი ამოცანა, რომლებიც მიზანთან ერთად, თანმიმდევრული და შესატყვისია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიული გეგმასთან. გარდა ამისა, ამოცანები ორიენტირებულია საექიმო განათლებისა და მომზადების საერთაშორისოდ მიღებულ ღირებულებებზე. ექვს ამოცანაში დეტალურად გაწერილი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები არის რაციონალური, სისტემურად გათვალისწინებული და პასუხობს კურიკულუმის ყველა ეტაპს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები, ფაკულტეტთან, ხელმძღვანელობასთან, პერსონალთან და სტუდენტებთან;
- უნივერსიტეტის ვებსაიტი - ხედვა, მისია, სტრატეგიული გეგმა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება მიიჩნევს, რომ USMLE მნიშვნელოვანია მისი კურსდამთავრებულებისთვის, დაემატოს შუალედური შეფასებები (NBME's CBSE, CCSE), სტუდენტების პროგრესის შესახებ, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების უკუკავშირისთვის, რაც იზომება USMLE-ის მუშაობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ამერიკული გაცვლითი პროგრამა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც გაივლიან პირველ ნაბიჯს.
- 25 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ ფაკულტეტის წარმომადგენელთა, როგორც მრჩეველთან/მენტორთან, კურიკულუმის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით განსაზღვრულია თოთხმეტი (14) სწავლის შედეგი, რომელიც არის ყოვლისმომცველი, გონივრული და აზრიანი და აღწერს მრავალ ძირეულ კომპეტენციას, რომელიც უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულ ექიმს. აღნიშნული შედეგები გამოხატულია პროგრამის ამოცანებში და დამატებით პასუხობს ექიმისგან მოსალოდნელ აუცილებელ არაკოგნიტიურ ელემენტებს (უწყვეტი განათლება, ემპათია, პასუხისმგებლობის გრძნობა პაციენტის, ოჯახისა და საზოგადოებისადმი).

პროგრამას აქვს „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“ და თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ცოდნა მოწმდება პრე-კლინიკური ეტაპის დასასრულს, უნარები & პასუხისმგებლობა & ინიციატივა ფასდება მე-10-მე-12 სემესტრში, ხოლო OSCE გამოცდები ტარდება 11-12 სემესტრში, სასწავლო კურსში „გახდი ექიმი“. თვითშეფასების დოკუმენტი წარმოაჩენს დამატებით სამიზნე ნიშნულებს, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, და ამ დრომდე სტუდენტებისა დაკურსდამთავრებულების მცირე რაოდენობის გამო, მხოლოდ რამდენიმე სასურველი სამიზნე ნიშნულია მიღწეული.

თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტუდენტთა გამოკითხვები ტარდება „სისტემატურად“ და ელექტრონულად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (მუშაობს როგორც ამ პროგრამისთვის, ასევე ქართული პროგრამისთვის) სხვადასხვა მოდულებისა და კურსებისთვის. გამოკითხვის შედეგები გროვდება და ხდება მათი გაზიარება პასუხისმგებელი ფაკულტეტისთვის, ასევე კომიტეტებისთვის, რომლებიც ცვლილებებზე არიან პასუხისმგებელი. ფაკულტეტი იღებს უკუკავშირს სწავლების ხარისხის შესახებ.

მოყვანილია სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე, კურიკულუმში შეტანილი ცვლილებების მაგალითები და რომ „უახლოეს მომავალში“ ელექტრონული ჟურნალის პლატფორმა უფრო მეტ უკუკავშირს უზრუნველყოფს, რამდენადაც კონსულტანტებს ექნებათ შესაძლებლობა დააკვირდნენ სტუდენტთა სასწავლო აქტივობებსა და ასევე, მათ უკუკავშირებს სწავლების ხარისხის შესახებ.

კურიკულუმის მასშტაბით, შეფასების ფართო პროცესი უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის შენარჩუნებას, რაც დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან, განსაკუთრებით OSCE, OSPE, Mini-CEX, DOPS და პაციენტის სტანდარტიზებული შეფასებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები, ფაკულტეტთან, ხელმძღვანელობასთან, პერსონალთან და

<p>სტუდენტებთან;</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კურსისა და სილაბუსების განხილვა.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში დეტალურად გაწერილია მიღების სტანდარტები/პროცესები, რათა შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან. გაიზარდა ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების მინიმალური ზღვარი, განსაკუთრებით, ქვეყნის მოქალაქეებისათვის ინგლისურ ენაში, დაწყებული 2013 წელს 75%+1 მოთხოვნით, ხოლო ბოლო ნაკადში მოთხოვნა იყო 80%+1.

არამოქალაქეთათვის, პროგრამაში ნათქვამია, რომ ჩარიცხვა რეგულირდება ცენტრალურად, „გასაუბრებისა და დოკუმენტების ლეგალიზაციის საფუძველზე“. თუმცა, ონლაინში მოძებნილი პროგრამის „პდფ“ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ინგლისურენოვანი სკოლების/კოლეჯების/უნივერსიტეტის კურსდამთავრებული აპლიკანტები ან მათ ვისაც მოქმედი IELTS (>6.5) ან TOEFL (>90) სერტიფიკატი აქვთ, თავისუფლდებიან ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამაზე დაშვების წესები და სწავლის შედეგები შედგენილია შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) კომიტეტის მიერ. პირველ რიგში, განიხილება ფაკულტეტის შეხვედრაზე, შემდეგ აკადემიურ საბჭოში და ბოლოს აისახება კურიკულუმში.

საჯაროობისა და მარტივი წვდომის უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო პროგრამის

მახასიათებლები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tsmu.edu.ge და უნივერსიტეტის სოციალური ქსელის გვერდზე <https://www.facebook.com/tsmu.tbilisistatemedicaluniversity/>. თსსუ-ს ვებ-გვერდზე ასევე მოცემულია პროგრამის სილაბუსების ელ.ვერსიები და აკადემიური კალენდარი.

თსსუ რეგულარულად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, აწყოფს „ღია კარის დღეებს“, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა სკოლებში, ასევე საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც ავრცელებს საინფორმაციო ბუკლეტებს. პროგრამის ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული პირად კონსულტაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- თსსუ ვებგვერდის ბმულები, რომელიც დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე მიღებას ეხება;
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს მოქალაქეებისა და არამოქალაქეებისთვისაც თავიდანვე მიღების მაღალი სტანდარტები იყო დაწესებული, რაც წლების განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა აბიტურიენტთა ორივე ნაკადისთვის.

პროგრამის გეგმის მთავარი ასპექტები მოიცავს: 1) ორ სემესტრიან მოსამზადებელ პერიოდს ფუნდამენტალურ მეცნიერებებში, ინგლისურსა და ქართულ ენაში. 2) 5 სემესტრიან პრე-კლინიკურ სწავლებას, მოდულურ და ინტეგრირებულ კურსებს, ადრეული კლინიკური უნარების სწავლებას; 3) ორ სემესტრიან გარდამავალ ეტაპს, რომელსაც მოჰყვება გადასასვლელი ნაწილი, რაც უფრო სრულ-განაკვეთზე კლინიკურ სწავლებამდე მიდის შემდგომი 5 სემესტრის განმავლობაში. პროგრამა მტკიცედ თანმიმდევრულია, გულმოდგინედ დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან.

მოსამზადებელი წლის, პრე-კლინიკური და კლინიკური ეტაპების სტრუქტურა შესატყვისია პროგრამის სწავლის შედეგებთან, არის ლოგიკური და რუკიდან (mapping) ჩანს, რომ დაკავშირებულია პროგრამის ამოცანებთან. კურსებისა და პრაქტიკული სწავლების თანმიმდევრობა კარგად ჯდება პროგრამის გეგმაში, რამდენადაც თითოეული მათგანი დაშენებულია წინა წელზე ან წინა ეტაპზე, უზრუნველყოფს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას. მთელს კურიკულუმში პროფესიონალიზმის გრძელვადიანი კურსის ინტეგრირება სანიმუშოა და შეესაბამება სტუდენტების მიერ მედიცინის პრაქტიკის პროგრესულ სწავლას.

კლინიკური კომპეტენციების ათვისება კურიკულუმის ადრეულ ეტაპზევე იწყება, მოიცავს კლინიკური წლების პერიოდშიმრავალ ადგილს პაციენტთა მოსანახულებლად, კომპეტენციების შეფასება ხდება მრავალი პუნქტითა და სხვადასხვა მიდგომით, როგორცაა, სიმულაცია, OSCE, სტანდარტიზებული პაციენტები, MINI-CEX, რომელიც პაციენტის საწოლთან სწავლებით გამოიყენება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მნიშვნელოვანი კონტენტის ინტეგრირებას კვლევის წარმოების, სტატისტიკისა და ეპიდემიოლოგიის სწავლებისთვის.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა არის ერთსაფეხურიანი და უთანაბრდება მაგისტრის ხარისხს; პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და პრიორიტეტებს; პროგრამა აკმაყოფილებს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნებს და სამედიცინო განათლების სფეროში არსებულ დარგობრივ სამიზნე ნიშნულებს. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და კომპლექსურობა, ასევე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. სწავლის შედეგები შეესაბამება დარგობრივ სამიზნე ნიშნულებს,

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

პროგრამა ემყარება ECTS სისტემას და მოიცავს 6-წლიან სწავლებას. ის მოიცავს 360 ECTS კრედიტს, 30 კრედიტით თითოეულ სემესტრში. 1 კრედიტი კი უდრის 30 აკადემიურ საათს.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და სწავლის შედეგებზე. იგი ნაწილობრივ ინტეგრირებულია (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად). იგი მოიცავს ამდენიმე ინტეგრირებულ ბლოკს. პირველი ბლოკი- ჰუმანიტარული, ქცევითი და სოციალური მეცნიერებები; მეორე ბლოკი - ბიოსამედიცინო მეცნიერებები; მესამე ბლოკი - დაავადების ბიოლოგიური და კლინიკური საფუძვლები; მეოთხე ბლოკი - კლინიკური აზროვნების განვითარების და დიაგნოზის დასმის საფუძვლები, რომელიც გადანაწილებულია პირველ შვიდ სემესტრზე და კომბინირებულია არჩევითი საგნების 14 კრედიტთან; ჯამში, 212 კრედიტს შეადგენს, რაც მედიცინის სფეროს გარეთ ზოგადი ცოდნის დიაპაზონს ზრდის.

პარალელურად, 38 კრედიტი გამიზნულია ინტეგრირებული მოდულებისთვის, კურსისთვის „გახდი ექიმი“, რომელიც მოიცავს კლინიკური უნარების სწავლას, დიაგნოსტიკის პრინციპებს, ეთიკურ საკითხებს. ეს კურსი იწყება პირველივე წელს და პროგრესულად მიჰყვება მთელ პროგრამას.

17 კრედიტი (ECTS) გამიზნულია სამეცნიერო უნარების განვითარებაზე (კვლევის შესავალი, ეპიდემიოლოგია-ბიოსტატისტიკა, სამედიცინო კვლევის პრინციპები და პრაქტიკა, სამედიცინო კვლევა).

სამეცნიერო კომპონენტი სრულდება დამოუკიდებელი სამეცნიერო ნაშრომის/პროექტის ჩაბარებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ ბიოსტატისტიკისა და SPSS-ის გამოყენების კურსების პროფესიონალური სერტიფიკატები კურსის მსვლელობის განმავლობაში. სავალდებულო კურსები იძლევა თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების, კლინიკური აზროვნების ანალიზისა და შეჯამების, გავლილი კურსების თვითშეფასებისა და რეფლექციის შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელების მართვაზე, მის გავითარებასა და ყველა კომპონენტის ეფექტურ შესრულებაზე. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სამედიცინო ფაკულტეტზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- USMD პროგრამის აღწერის დოკუმენტი;
- ყველა ეტაპის სილაბუსების განხილვა;
- სტუდენტებთან, ფაკულტეტთან, ხელმძღვანელობასთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ყველა სილაბუსის განხილვა მოხდა შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით: სწავლის შედეგები, შეფასების მეთოდები, სწავლების და სწავლის სტრატეგიები, რეკომენდებული რესურსები ან სტუდენტთა სწავლებისთვის ხელთარსებული რესურსები.

სილაბუსები მსგავსადაა ფორმატირებული მთელს კურიკულუმში და თითოეული იძლევა დეტალურ ინფორმაციას შინაარსზე, სწავლებაზე, შეფასებაზე და ზოგად ქცევით მოლოდინებზე. კურსების დოკუმენტაცია იძლევა სტანდარტებთან და ყველა მოდულის სწავლის შედეგების - პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მტკიცებულებებს. კრედიტთა განაწილება სავსებით სათანადოა.

ზოგიერთ კურსის/პრაქტიკული სწავლების სწავლის შედეგები შედარებით „დაბალი დონისაა“, ანუ „აღწერა, ახსნა, ჩამოთვლა, განსაზღვრა“. მართალია სწავლის შედეგები პროგრამის შედეგებთან თანმიმდევრულია, თუმცა ისინი არ წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას ინფორმაციის ისეთ ცოდნად ტრანსფორმირებისთვის, რომელიც პრობლემის გადაჭრაში გამოიყენება.

პროგრამის კურსების/მოდულის სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის სახელწოდება და ტიპი, სემესტრი, კურსის ავტორი/აკადემიური კურსის ინსტრუქტორები, კრედიტების რაოდენობა, რომელიც მიუთითებს შესაბამის საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს, კურსზე დაშვების წინაპირობები, კურსის მიზანი, სწავლების და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, აკადემიური კურსის შინაარსში, კლინიკური გაკვეთილების სწავლის შედეგები და ინსტრუქცია, BAD-ისთვის (კურსი „გახდი ექიმი“) საჭირო აღჭურვილობა, პროფესიული ჩაცმულობის მოთხოვნები. სავალდებულო და დამატებით სასწავლო მასალები მითითებულია ყველა სილაბუსში.

კურსების ყველა სწავლის შედეგი განსაზღვრულია როგორც ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, დარგობრივ სამიზნე ნიშნულებზე დაყრდნობით, სწავლის შედეგები გაზომვადია და ადეკვატურად ფასდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ამერიკული პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუ სტუდენტებთან, პერსონალთან, ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რამდენადაც პროგრამა უკვე იყენებს „შებრუნებული საკლასო ოთახის“ სტრატეგიებს, ფაკულტეტის სამომავლო განვითარება შეიძლებამიმართული იყოს იმაზე, თუ როგორ გაიზარდოს მაქსიმალურად „კლასს გარეთ“ (out of class) ფაქტების სწავლის სარგებლიანობა, ამ ფაქტების მოსალოდნელი „შემთხვევითობის“ გამოყენებით კლინიკური პრობლემების გადასაჭერელად. ამგვარი მიდგომა საჭიროს გახდის შეფასების ტრანსფორმაციას, რამდენადაც იგი მოითხოვს „ცოდნის გამოყენების“ შეფასებას და არა მხოლოდ იმის, რომ სტუდენტმა გაიხსენოს რა იცის. დროთა განმავლობაში, ეს სტუდენტებს უზიძგებს დასვან კითხვები თუ „რატომ“ და „როგორ გამოიყენებ ამ ინფორმაციას“.
- ყველა კურსის/პრაქტიკუმის სწავლის შედეგების გაუმჯობესება შესაძლებელია მათი უფრო „მოქმედებით“ დროში პერიფრაზირებით. ეს მათ უფრო მარტივად შესაფასებელს გახდის, ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით. თითოეული კურსის/პრაქტიკუმის სწავლის შედეგები შესაძლოა დაფორმატდეს ისე, რომ ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენებაზე. მაგალითად, ნაცვლად ასეთი ფორმულირებისა „განსაზღვრეთ ჰიპერტენზია“, უმჯობესი იქნება -

„მეორე სტადიის ჰიპერტენზიის მქონე პაციენტის შემთხვევაში, შეძლოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული თერაპევტული აგენტის შერჩევა და პაციენტისთვის მისი მოქმედების მექანიზმისა და გვერდითი მოვლენების განმარტება.“

- სილაბუსში შესაძლოა წერილობით იყოს ასახული (სასარგებლო იქნება სტუდენტებისა და ფაკულტეტისთვის), თუ როგორ გროვდება სტუდენტებისა და ფაკულტეტის უკუკავშირი თითოეულ კურსზე/პრაქტიკუმზე და ამ წყაროებიდან მიღებული მასალა როგორ განიხილება პროგრამის მიერ, ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. თუკი ამის განახლება ყოველწლიურად ხდება, მაშინ ახალი სტუდენტები შეძლებენ ნახონ თუ როგორ შეიცვალა იმ კურსის სილაბუსი, რომელიც უნდა გაიარონ, სტუდენტთა უკუკავშირის შედეგად. აღნიშნული, ასევე, დაეხმარება პროფესორს რომ რელევანტური სილაბუსები ჰქონდეთ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- „გახდი ექიმი“ (BAD) კურსი კურიკულუმის მასშტაბით აერთიანებს პროცესებს პროფესიონალური ჩამოყალიბებისთვის, რაც მოიცავს მრავალ კრიტიკულ არაკოგნიტურ ღირებულებას, რომელიც საჭიროა პრაქტიკოსი ექიმისთვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად არის გაწერილი პროგრამის პრაქტიკული უნარების პროგრესული განვითარება პრე-კლინიკური და კლინიკური ეტაპებისთვის; მოყვანილი მაგალითები თანმიმდევრულია პროგრამის სწავლის შედეგებთან. OSPE და OSCE გამოყენება კურსის/პრაქტიკუმის კონკრეტული შეფასებების ნაწილად უზრუნველყოფს მოლოდინის სათანადო დონეზე მიღწევას. კურიკულუმის ხანგრძლივობის კურსი „გახდი ექიმი“ წარმოადგენს მედიცინის სტუდენტის მომზადების ასეთი მიდგომის საყრდენს, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს ახალგაზრდა ექიმად ფუნქციონირება.

რაც შეეხება უნარების განვითარებას, პროგრამა იღებს ბევრ საერთაშორისო სტუდენტს, რომლებიც ირიცხებიან ქართლი ენის ცოდნის უნარების გარეშე. მოსამზადებელი ეტაპი მოითხოვს ენისა და კულტურის შესწავლას, რომელიც სცდება პირველ წელს და როდესაც სტუდენტები შედიან კლინიკურ გარემოში, თითოეული არაქართულენოვანი სტუდენტი დაწყვილებულია ქართულად მოსაუბრე სტუდენტთან, რათა გაესაუბრონ პაციენტებს. ეს უდიდეს სარგებელს იძლევა ამ სტუდენტებისთვის, რომლებიც ამგვარად განვითარებენ პაციენტზე მზრუნველობისთვის საჭირო სამედიცინო უნარებს.

სპირალურად ან პროგრესულად, კურიკულუმში ჩასმულია სამეცნიერო უნარების განვითარება, რაც მოიცავს სტატისტიკის, ეპიდემიოლოგიის, ლიტერატურის კრიტიკული განხილვის გამოყენებასა და ინტერპრეტაციას და ასევე ამ ინსტრუმენტების გამოყენებას მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრეზენტაციების მოსამზადებლად, სადაც გამოდიებული იქნება ამოსავალი მონაცემები ან აქტუალობა. კურიკულუმში ასევე შედის კვლევითი პროექტის შესრულება როგორც კულმინაციური დავალება და შესაძლოა მოიცავდეს შემთხვევის ანგარიშს, გამოკითხვას, პერსპექტიულ ან რეტროსპექტიულ კვლევას. სასწავლო გეგმის დასაწყისშივე, დამატებითი ყურადღებაა გამახვილებული პიროვნული უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა ლიდერობა, გუნდური მუშაობა, საკუთარ თავზე ზრუნვა, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა პატივისცემა, ამ უნარების განვითარების უმეტესობა ხდება სპეციალურ მცირე ზომის ჯგუფებში და იძლევა უნარების სამუშაო ადგილზე ტრანსფერის შესაძლებლობას.

კლინიკური უნარების განვითარება პროგრამის პრეკლინიკურ ეტაპზე უმეტესად უზრუნველყოფილია კურსით „გახდი ექიმი“, სიმულაციურ პაციენტთან ურთიერთობით, პრაქტიკული სწავლება პრაქტიკული უნარების განვითარებას აღწევს განტმკიცების დონემდე. უნივერსიტეტში მოქმედებს კლინიკური უნარების ცენტრი, რომელიც მხარს უჭერს პრაქტიკული უნარების განვითარებას; სამეცნიერო უნარების განვითარება იწყება პირველივე წლიდან, როდესაც სტუდენტი იღებს სავალდებულო კურსს აკადემიურ წერაში და სავალდებულო სასწავლო მოდულებისთვის ჯამში 17 კრედიტია გამოყოფილი. სტუდენტები მუშაობენ კვლევით პროექტებზე და განიხილავენ მონაცემებს მოდულის/ეტაპის ხელმძღვანელებთან და ამგვარად ივითარებენ კრიტიკული აზროვნების უნარს, სტუდენტები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ სადამკვირვებლო კვლევაზე და იყენებენ რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, როგორებიცაა SPSS და Graph Pad Prism მონაცემთა ანალიზის სისტემებს. აღმოჩენის ეტაპის დასრულებისას, სტუდენტური პროექტების წარდგენა ხდება პრეზენტაციის ფორმით. შემდგომი დამუშავების საფუძველზე, ყველაზე ინოვაციური პროექტები შესაძლოა გამოქვეყნდეს ადგილობრივ ან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

უნივერსიტეტს აქვს პლაგიატის გამოვლენის, პრევენციის და მასზე რეაგირების მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერის დოკუმენტი;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და პროფესორასთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში, კურსის სილაბუსები, პროგრამის აღწერა და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს ერთანი მიდგომა სწავლებისა და სწავლისადმი, რაც ორიენტირებულია სტუდენტზე. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (დეტალური ინფორმაცია თითო ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობაზე არაა მოცემული), შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, კლინიკური უნარების გამომუშავება, ლაბორატორიული სავარჯიშოები, სტანდარტიზებული პაციენტის ინსტრუქცია და უკუკავშირი, სიმულაცია მანეკენებით, პაციენტის საწოლთან სწავლება- ყოველივე ამას წვლილი შეაქვს კარგი სტრატეგიების ერთობლიობაში.

სწავლების სტრატეგიები ხორციელდება სასწავლო კურსის მახასიათებლებზე დაყრდნობით: ლექციები, ჯგუფური სამუშაო, სემინარები, დისკუსია/დებატები, დემონსტრაციის მეთოდი, PBL, CBL, პაციენტის საწოლთან სწავლება, ყოველივე ეს შეესატყვისება სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კურსი „გახდი ექიმი“ იყენებს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისთვის - ესაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლის პროცესში. CBL-ის სესიები, ასევე, დანერგულია იმავე კურსზე, სემესტრის მსვლელობისას ტრენინგი სტანდარტიზებულ პაციენტებთან აქტიურადაა ჩართული სწავლების პროცესში. შედეგად, სტანდარტიზებული პაციენტით სტრუქტურირებული გამოცდის ჩატარების ინტეგრაცია მოხდა USMD-ში.

კარგი პრაქტიკა ცხადად ჩანს იმაში, თუ როგორ ახორციელებს პროგრამა კლინიკურ პრაქტიკუმებს: კლინიკურ საქმიანობაში სტუდენტისა და ექიმის აქტიური მონაწილეობა, სადაც კლინიკური დამოუკიდებლობა ვითარდება; 2-2 სტუდენტი (ქართველი-უცხოელი) ერთ პაციენტთან, მაგალითად, შინაგანი მედიცინის პრაქტიკული სწავლებისას ორი სტუდენტი ჯგუფდება ზემდგომ ექიმთან ერთად და მუშაობენ გეგმის თანახმად, რომელიც წინასწარაა შემუშავებული. პაციენტებს ენიშნებათ ინდივიდუალური სტუდენტი, თითოეულმა სტუდენტმა „ზედამხედველობა“ უნდა გაუწიოს „ახალი“ პაციენტების გარკვეულ რაოდენობას დაასევე, უკვე არსებულ პაციენტებსაც. სტუდენტები აქტიურად იყენებენ დღიურის გამოყენების სისტემას (ჟურნალი), სადაც ისინი აფიქსირებენ მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებს. ამგვარი სამუშაო ძალიან სასარგებლოა მათთვის, რადგან სამუშაო ადგილზე დაფუძნებული სასწავლო გარემო მსგავსია იმ გარემოსი, სადაც ისინი მომავალში ექიმებად იმუშავებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსების მიმოხილვა;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან სწავლების სტრატეგიების შესახებ;
- ტური კლინიკურ ობიექტებზე.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

ჩრევები პროგრამის განვითარებისთვის

დეტალურად იქნეს მითითებული სწავლებისა და სწავლის თითოეული სტრატეგიის საათების რაოდენობა (საკლასო ოთახში), როგორც სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო საქმიანობის წილის უკეთესად კონტროლის საშუალება.ამ მიმოხილვისას, არ არსებობს გზა იმის დასადგენად, თუ რამდენი საათია ლექციაზე (რაც სტუდენტზე ორიენტირებული სტრატეგია არ არის) და თითოეულსხვა სტრატეგიაზედახარჯული. კურიკულუმის კომიტეტს შეუძლია უკეთესად დააკვირდეს პროგრამის განვითარებას, რათა მაქსიმალურად გაზარდოს აქტიური, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, თითოეული სტრატეგიისთვის შესაბამისი კლასის საათების ჩვენებით, განსაკუთრებით მოსამზადებელ და პრეკლინიკურ ფაზებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- კლინიკური პრაქტიკუმების ჩატარების მეთოდი: სტუდენტი-ექიმის აქტიური მონაწილეობა კლინიკურ საქმიანობაში კლინიკური დამოუკიდებლობის მზარდი ტენდენციით, 2-2 სტუდენტი (ქართველ – საერთაშორისო) 1 პაციენტთან.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით,

გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შეფასებები სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელო მითითებებს და მონიტორინგი ხორციელდება თსსუ შეფასების წესების თანახმად. პროგრამა იყენებს მრავალფეროვან შეფასებას მთელი სასწავლო გეგმის განხორციელების პეროდში. მათგან უმეტესობა ობიექტურია, მათ შორის კლინიკური ტრენინგის ფაზაში. ყველა სილაბუსი შეიცავს შეფასების პროცესების დეტალურ აღწერას და შეფასების რუბრიკას. მეტად მნიშვნელოვანია ექიმების განვითარების პროცესში პროფესიონალიზმის შეფასება, რომლისთვისაც პროგრამამ შეიმუშავა მისი განვითარების და ნებისმიერი შესაძლო ხარვეზის მონიტორინგის მეთოდები. როგორც ჩანს, პროგრესის მონიტორინგისთვის არსებობს ბალანსი შეფასებების საკმარის რაოდენობას შორის, ძალიან მცირეა შეფასებები, საიდანაც სტუდენტებს არ შეეძლოთ გაერკვიათ, ჰქონდათ თუ არა პროგრესი.

აქტიურად გამოიყენება შეფასების ახალი და თანამედროვე მიდგომები:

OSPE - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდები პრეკლინიკურ მოდულებში. სტუდენტების უკუკავშირი დადებითი იყო.

"ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა" (OSCE) - გამოცდა ჩატარდა სტანდარტიზებული პაციენტების მონაწილეობით; ჩატარდა ტრენინგები "ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის" (OSCE) მომზადების შესახებ, გარდა პროგრამაში ჩართული პერსონალისა, მონაწილეობდა ემორის წარმომადგენელიც.

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სტუდენტების შეფასების პილოტირება EPA-ს (სანდო პროფესიული აქტივობები) მიხედვით, შინაგანი მედიცინის ქვე-სტაჟირების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- ინტერვიუები ფაკულტეტთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება მიიჩნევს, რომ USMLE მნიშვნელოვანია მისი კურსდამთავრებულებისთვის, დაემატოს შუალედური შეფასებები (NBME's CBSE, CCSE), სტუდენტების პროგრესის შესახებ, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების უკუკავშირისთვის, რაც იზომება USMLE-ის მუშაობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტებით.
- კლინიკურ ფაზაში ობიექტური შეფასებების გამოყენება, მათ შორის იმ

შემთხვევების რაოდენობისა და ტიპების დეტალიზაცია, რომლებიც უნდა შეაფასონ სტუდენტებმა.

- ზოგიერთ კურსში გამოიყენება "ზეპირი" გამოცდები, და მიუხედავად იმისა, რომ შეფასება არ არის მაღალი, ასეთ შეფასებებში არსებობსობიექტურობასთან დაკავშირებული ეჭვი. ჩვენი რჩევაა, რომ პროგრამის შეფასების სპეციალისტმა უზრუნველყოს გამოცდების ჩატარება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული არაობიექტურობა, ინტერესთა კონფლიქტი ან რაიმე სუბიექტური შთაბეჭდილებები. საგანმანათლებლო ლიტერატურა მხარს არ უჭერს მათ გამოყენებას, გარდა ყველაზე კონტროლირებადი პირობებისა.
- კლინიკურ ფაზაში ობიექტური შეფასებების გამოყენება, მათ შორის იმ შემთხვევების რაოდენობისა და ტიპების დეტალიზაცია, რომლებიც უნდა შეაფასონ სტუდენტებმა.
- სტუდენტების შეფასების გასაუმჯობესებლად განხორციელდეს სტუდენტების შეფასება EPA-ს შესაბამისად, ხოლო დადებითი უკუკავშირის შემთხვევაში, ფართოდ იქნეს გამოყენებული ეს მეთოდი პროგრამაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,				

პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
---	--	--	--	--

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

